№ 137
სამშაბათი, 26 ივნისი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1901

ივერია

№ 137
სამშაბათი, 26 ივნისი, 1901 წ.

რედაქცია ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ტფილისი საჯარო ბიბლიოთეკა

სასტიკ და ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ სოფ. მცხეთას, საკუთარ სახლში, 23 ივნისს გარდაიცვალა

თ. კონსტანტინე დავითის ძე გედევანიშვილი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **მეუღლე მისი, შვილები, რძალი** და **სიძე.** პანაშვიდები ყოველ დღეა. მიცვალებულს დაჰკრძალვენ მცხეთაში, სვეტიცხოველის ტაძრის გალავანში 27 ივნისს, დილის 11 საათზე.

(2—145—1)

საათვიალი საქონლით მოვაჭრე

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საქმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა,
სასახლის ქუჩაზეა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.
ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову.

(100—43—53)

ადრესი ტელეგრაფის: Тифлисъ „Фармацевтика“

№ 741.

„ივერიის“ რედაქციისაგან.

ვისაც ჭსურს, პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისსავე პირველ რიცხვამდე.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

ტფილისის კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა,
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა; სახლი საგანაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.
ე. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ვ. ი. გეფლიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.
ა. ზ. კარაშეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:
ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.
ბ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 ს.
ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
ო. ტ. არგანიტაკი. 11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лечебница—д-ра **Навасардіана.**
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:
ვ. ი. ზიგანაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.
მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.
ნ. ა. მუღანი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.
ი. ზ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.
ა. მ. მატიდოვი—თვალის 11—12 საათ.
ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.
დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.
ვ. ბ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა—1—2 ს.
ვ. დ. მარკეზიჩი—საქირურგო—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.
ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 ს.

საღამოთი:
ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.
ა. ა. ბედროვოლოვი—შინაგანის (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

კვირაობით:
ბ. ბ. მადადაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.
სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.
ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნა ტფილისის მაზრის სამხედრო უფროსის თანაშემწე პოდპოლკოვნიკი **ევენტი** ტფილისის ადგილობრივ ბრიგადის უფროსის გამგეობის მორიგ შტაბ-ოფიცრად.

ებოძათ კოლეგსკი სეკრეტრობა: კავკასიის სამხედრო ოლქის საინდენტანტო გამგეობის სკოლის უფროსის თანაშემწეს **ტატიშვილსა** და ამავე გამგეობის მოხელეს თავ. **ფალავანდიშვილს;** ტიტულიარნი სოვეტნიკობა—ყვირილის მაზრის ხაზინის ხაზინადარის თანამდებობის აღმასრულებელს **აბრამიშვილს;** კოლეგსკი სეკრეტრობა—ქუთაისის სახაზინო პალატის კანცელარიის მოხელეს **ბაქრაძეს;** კოლეგსკი რეგისტრატორობა—ამავე პალატის კანცელარიის მოხელეს **რევვიაშვილს.**

ახალი ამბავი

*** კვირას, 24 ივნისს, განსაკუთრებულ კომისიას, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელის ი. ვ. საგინაშვილის თავმჯდომარეობით, სხდომა ჰქონდა საქართველოს რუსეთთან შეერთების ასის წლის შესრულებისა გამო დღესასწაულის მოწყობის შესახებ მოსალაპარაკებლად. კრებამ, რომელსაც დაესწრო აგრეთვე ქუთაისის თავად-აზნაურთა მიერ არჩეულ კომისიის წევრნი, დაადგინა, დანიშნოს ხელმეორედ კვირას, პირველ ივლისს, ტფილისის და ქუთაისის საიუბილეო კომისიების შეერთებული სხდომა დღესასწაულის მოწყობის საქმის საბოლოოდ გადასაწყვეტად.

*** კვირას, 24 ივნისს, ნაძალადევის უბანში აკურთხეს ახლად დაარსებული წიგნთ-საცავ-სამკითხველო. კურთხევას დაესწრნენ ნაძალა-

ფელეტონი

ძველის მკვლევარნი

არამცთუ ჩვენში, განათლებულ ერებშიაც-კი ხშირად უარსა-ყოფენ წარსულის ისტორიის საჭიროებისას, ამასთან აბუჩად იგდებენ ხოლმე ყველა ტრადიციულს. ამ გვარ ხანაში ხშირად ისმის: „იდეალები წარსულში-კი არა, მომავალში უნდა სძებნოს წინ-მსვლელობის კვალზედ შემდგარმა ერმაო“. საბედნიეროდ, ამ გვარი მიმართულება თანდათან ჰქრება, რადგან არამც თუ სამშობლოს წარსულს, თვით ტრადიციების შეგნებასაც-კი დიდი პატივი ედება. წარსულს ყველა ერისას და უძველეს კულტურას მეცნიერება ბეჯითად იკვლევს. ასურეთი, ინდოეთი, ფინიკია, ეგვიპტე და სხვა მათებრი ერნი ნუმიზმატიურ, ეტნოგრაფიულ, ლინგვინისტურ, რწმენათა კულტის მხრივ იზიდავენ საკვლევად მრავალ მეცნიერს.

ჩვენი პატარა ქვეყანა ამ მხრივ არამც თუ ჩვენთვის გახდა საინტერესო, არამედ უცხო ქვეყნელ მეცნიერთა ყურადღებაც დაიმსახურა; ეს ყურადღება დღითი-დღე უფრო ფართოვდება და დიდდება. ვარამთა დროთა და გარემოებათა მრავალი საისტორიო მასალა დაგვაკარგვინეს, ბევრი რამ გაჰქრა აღუბეჭდელი... მადლობა უფალს, რომ ამ ბოლოს დროს დაარსებულ იქმნა საეკლესიო მუზეუმი და წერა-კითხვის საზოგადოების „წიგნთ-საცავი“. მრავალი ძვირფასი მასალა შეგროვდა ამ ორ დაწესებულებაში, მაგრამ თვით ძველის მკვლევარნი ცოტანი გვყვანან. სულ ხუთი თუ ექვსი კაცია იმ მასალის მკვლევარ-მჩხრეკველი, რომელიც წარსულმა დაგვიტოვა.

როცა ყველა ამას ვითვალისწინებთ, რაღაც დისონანსად ზუზუნებს ყურში ასეთი თქმა პატივცემულ დუტუ მეგრელისა: *) „როდის ვეღირსებით ჩვენს ისტორიასაო“, აგრეთვე მ. კარბელაშვილის სიტყვები: **) „მალე გამოვაქვეყნებთ, რომ ჩვენი სასულიერო მწიგნობრობა მდიდარია, სინამ საბერძნეთისაო“.

ბ-ნ დუტუ მეგრელს, როგორც შეგნებულ მწერალს, არამც თუ მოეთხოვება ცოდნა ჩვენის მდგომარეობისა ისტორიის ქონვის მხრივ, არამედ მთელი მიმართულება ამ მეცნიერებისა განათლებულ ერთა შორის. ნუ თუ დაფარულია ვისთვისმე, რომ ჩვენის ძველის მკვლევარნი ვერ შეჰქმნიან ისტორიას?! თვით გაცილებით მოკლე წარსულის მქონე უშველებელი რუსეთი მე-XIX საუკუნეშიაც-კი მოკლებული იყო ისტორიის ქონვას. მართალია, მასალა მზად იყო, მაგრამ მეცნიერულად მისი ამკინძი და დამწყობი არ მოიპოვებოდა. მთავრობამ დიდი ფული გადასდო, მოიწვია ნემეცთა მეცნიერი შლოტცერი და მან შეადგინა მეცნიერულად სქემა რუსეთის ისტორიისა. შლოტცერმა თავ-თავის ადგილს მოათავსა მითიური თქმულებანიც და ისტორიული ფაქტებიც. რაკი მეცნიერულად დაიკვალა რუსეთის ისტორია, მერე ეპოქების განათებასაც შეუდგნენ: მონოგრაფიები კოსტომაროვისა, შჩაპოვისა, სოლოვიოვისა და მრავალ სხვათა სავსებით ახასიათებენ დღეს რუსეთის წარსულს... ასეთ დახასიათების შემდეგ ხომ ადვილია ისტორიის მიმოხვრა ახალ საისტორიო მეცნიერების თეორიებისაკენ—დღეს ამ გვარი თეორია ბევრია: კოლექტიური თეორია, თეორია ლიმპრეხტისა, მატერიალისტური მარქსისა და ინდივიდუალური ზიბელის, ტრეიჩკესი, ფრიდიუნგის და სხვ. ჩვენ დღეს ჯერ ისტორიული სხვა მეცნიერულად დაკვალული არა გვაქვს, თვით მასალაც ნამეტან ხელუხლებელია და ისტორიის ქონვას-კი ვნატრობთ ამ წუთშივე...

მამა კარბელაშვილსაც, როგორც ძველის მკვლევარს, მოეთხოვება ცოდნა იმისი, რომ ჩვენ მწიგნობრობის საბუთებს მე-V საუკუნეში ძლივ ეპოულობთ, საბერძნეთი-კი უხსოვარ დროიდგან „ოდისეიას“ ხმარობს. თუ ისტორიულ საბუთებში სჩანს, რომ ქართული სასულიერო ლიტერატურა უფრო ასურულ და ებრაულ ენებიდგან არის ნაწარმოები, ეს კიდევ იმას არა ჰნიშნავს, რომ ჩვენი ლიტერატურა მაღლა სდგას საბერძნეთისაზედ. ერთი სიტყვით, ამ ორ მწერლის სიტყვებიც საკმაოა იმის აღსანიშნავად, რომ მეტად ბუნდოვანად გვესმის ბევრი რამ ჩვენის ისტორიისა. თუ თვით ჩონჩხი ჩვენის ისტორიისა რა მდგომარეობაშია, ამას ვეცდები ორიოდ სიტყვით გავუთვალისწინო მკითხველს.

თარგამოსის ჩამომავლად ვსთვლით ჩვენს ერს. თარგამოსი იაფეტის შვილის-შვილი ყოფილა. მათივე მახლობელი იყო ქართლოსი, რომელმაც მოგვცა თავისი სახელ-წოდება და რომლის საფლავსაც ჩვენი მამაპაპანი თაყვანსა სცემდნენ ალექსანდრე მაკედონიელის დროსაც-კი, „მეშეხ“ და „თუბალ“ ე. ი. მესხნი და თიბერნი კლასიკურ მწერალთაც-კი

*) წლევანდელი „ივერია“ № 27.

**) იხ. „ივერია“ № 24.

დევის მცხოვრებნი, დიდძალი მუშახალხი, მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი ბ-ნი სულთან-კრიმ-გირეი, ზოგიერთი ქართველი მწერლები და ქართულის ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი.

** ტფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკში გუშინ, 25 ივნისს, დანიშნული იყო საჯარო გასასყიდად სოფლის მამულები, რომელთ პატრონებმა არ შეიტანეს ბანკში ვადის შესატანი. გასასყიდად ჩავარდა მარტო რვა მამული და ამათგან გაიყიდა შვიდი მამული 26827 მანეთად და 50 კაპ., რომელთზედაც თავნი ვალი ირიცხებოდა 22,880 მან. 12 კაპ., ერთი მამული გადიდვა გასასყიდად 12 ივლისისათვის.

** ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს შუამდგომლობა აღუძრავს ფინანსთა მინისტრის წინაშე იმის შესახებ, რომ კვლავ აღდგენილ იქმნას მომხმარებელთა საზოგადოების ვაგონ-დუქნების უფასოდ გზავნა რკინის გზაზედ. ამას გარდა რკინის გზის გამგეობასთან დაარსდა შტატი დამტარებელთა, რომელთაც დააქვთ რკინის გზის მოსამსახურეთათვის საზოგადო; ამ საქმეს 15 ათასი მანეთი უნდება.

** რადგანაც „ბეჭდვითი საქმის კავკასიელ მოღვაწეთა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების“ წესდების პროექტის შესამუშავებლად გუშინ-წინ, 24 ივნისს, შეკრებილმა ტფილისის რედაქციების წარმომადგენლებმა (თვითოეულ რედაქციიდგან თვითომ) მუშაობა ვერ დაასრულეს, ამისათვის შემდეგი სხდომა „Кавк. Вѣстн.“-საც რედაქციაში დანიშნულია ხუთშაბათს, 28 ივნისს, საღამოს 8½ საათზედ. დამსწრე წარმომადგენლებს ცალკე მოსაწვევი ბარათები აღარ გაეგზავნებათ.

** 22 ივნისს ამიერ-კავკასიის რკინის გზის კანტროლის მოსამსახურეთა საზოგადო კრება მოხდა კონტროლის მოსამსახურეთა დამხმარებელისა და სამარხ კასის დაარსების შესახებ მოსალაპარაკებლად. კრებამ დაადგინა დაარსებულ იქმნას ასეთი კასა და აირჩია კომისია კასის წესდების შესამუშავებლად.

** როგორც „არგონ.“-ს ახალ ციხიდგან ატყობინებენ, 24 ივნისს, მრავალ ხალხის თანადასწრებით საძირკველი ჩაუყრიათ ადგილობრივ საამბულატორო სამკურნალოს შენობისათვის.

** კავკასიის უმაღლესს მთავრობის განკარგულებით სამურზაყანოს ნაწილის უფროსი როტმისტრი ფილიპოვიჩი სამსაურიდგან დათხოვნილ და სამართალში მიცემულ იქმნა სამარის გუბერნიაში ბოქაულად ყოფნის დროს ჩადენილ დანაშაულობისა გამო.

** ხვალ, 27 ივნისს, საღამოს 8 საათზედ, ქალაქის გამგეობის სადგომში მოხდება შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა და საბჭოს იმ კომისიისა, რომელსაც მიენდო ქუჩების მოსაკირწყლავად მასალების შემზადება. სხდომაზედ, სხვათა შორის, მოწვეულნი არიან ბელგიის უსახელო საზოგადოების დირექტორები ბ-ნი რადზინსკი და ბლანშე; უნდა გადასწყვიტონ ამ საღამოთი, შესაძლებელია თუ არა იმ ქუჩების საუკეთესოდ მოკირწყვლას შეუდგენენ, რომლებზედაც ცხენის რკინის გზის ლიანდაგებია გაყვანილი, თუ მოიცადონ იმ დრომდე, ვიდრე უახელო საზოგადოება წარუდგენს გამგეობას ელექტრონის ძრავის დამტკიცებულ პროექტს.

** ქალაქის ხარჯით დაარსებულ ქალაქის სკოლებში ამ ჟამად 6 მასწავლებლის ვაკანსიაა დაცლილი. მთხოვნელი-კი, როგორც გადმოგვცეს, 40 კაცამდეა.

** როგორც დაბა საჩხერიდგან გვატყობინებენ, ეხლა იქ გახურებული მკაა თურმე; გვწერენ, რომ წელს პურის ცუდი გამოსავალია აქეთაო. სიმინდები კარგი ყოფილა, მაგრამ მაისის წვიმა-ნიაღვრებს მეტად შეუფერხებია და ზოგან სულ მთლადაც გაუნადგურებია.

** ქალაქის გამგეობის სადგომში შაბათს, 30 ივნისს, სხდომა ექნება იმ კომისიას, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს, ქალაქმა თავის მხრით რა მონაწილეობა უნდა მიიღოს წელს რუსეთთან საქართველოს შეერთების ასის წლის შესრულების გამო განზრახულ დღესასწაულობაში.

** როგორც „ახ. მიმ.“-ს ქუთაისიდგან სწერენ, შორაპნის შავის ქვის მწარმოებელნი ჰგზავნიან თურმე შავის ქვის მწარმოებელთა საბჭოს თავმჯდომარეს გ. ფ. ზდანოვიჩს ბერლინში იქაურ სინდიკატთან საბოლოოდ მოსალაპარაკებლად.

** შაბათს, 23 ივნისს, ნაშუადღევის 3 საათზე, ჩუდურეთში, გზისჩრდილოეთის ქუჩაზედ, ტეტხლი გაუჩნდა ტფილისის მცხოვრებელის ბაკ-ბეუქოვის სამ-სართულიან სახლს. ტეტხლი ისე მსწრაფად მოედო დიდ შენობას, რომ სულ ორ-სამ საათში დაიწვა სახლი. თუმცა ტეტხლის მქრობელმა რაზმმა დროზედ გაიგო ტეტხლის კაჩენა და მიეშველა კიდეც, მაგრამ ვერ შესძლო იმის ჩაქრობა, რასაც შედეგად მოჰყვა 10—12 ოჯახობის ეოველდღე ქონების მთლად ერთიანად დაღუბვა. უმთავრესად ტეტხლის ჩაქრობას ეფერხებდა მიუდგომელი მადლობი და ვიწრო ქუჩა, სადაც რამდენიმე კაცის დახმარებით ძლივს ცხენებს რიეის ქუჩიდგან აჭიმდათ ბოჭკებით წყალი, რადგანაც იმ კუთხეში არსად წყლის მიდი გაუკეთებია. ეოველ-ეოველ ეს სამინელი უბედურებაც მოხდა: დაიწვა ტეტხლში 18 წლის ქალი მარიამ კასიანაშვილისა, რომელიც ეს რამდენიმე ხანია დანიშნული ეოფილა და ამ დღეებში ჯვარის წერასაც აპირებდა. როგორც შეკვიტეთ, აი საქმე როგორ ეოფილა: ამ დღეს ოთხს მამის ბინაზედ საბრალო მარიამი სარეცხსა რეცხავდა და საჭირწოდ ემზადებოდა თურმე; გახურებულ ქურიდგან მსწრაფად ტეტხლი მოსდებია იქვე ქვეშსაგებს და ეს ქალს მაშინ შეუტეხია, როცა ტეტხლი გაძლიერებულა. კვამლისაგან საბრალოს რეტი დასხმია. როცა მიმხვდარა კარში გედარ გავსწრებო, იქვე კედელში კანჯინაში შემძვრალა. ტეტხლი მთელ შენობას მოედო და ქალის გვამი, ძალზედ დამწვარი მხოლოდ სადმოს 6 საათზედ იპოვნეს. მუტად გულ-შემზარავს სურათს წარმოადგენდა, როდესაც საბრალოს გვამი გამოიტანეს, მამა, ძმები და ნაცნობები მოსთქვამდნენ და მწარედ სტირდნენ. რამდენადაც გამოირკვა, ზარალი შემდეგია: ამ სახლში სცხოვრობდა 10 ოჯახი, ამათგან ვერავის გადურჩენია თავისი ქონება. ეველს ზარალი საერთოდ 38,000 მანეთამდეა. სახლი ბაუქოვისა დაზღვეული ეოფილა „სადამანდრას“ საზოგადოებაში 6,000 მან. საქმის გამოსარკვევად, როგორც ზარალისა, აგრეთვე ტეტხლის კაჩენის მიზეზისა კომიტეტია დანიშნული.

** სწორედ გასაკვირველია ტრამვაის მეეტლეთა გაუფრთხილებლობა. 23 ივნისს ელისაბედის ქუჩიდგან მომავალი ვაგონი № 50, მეეტლის გაუფრთხილებლობით, მოსახვევში, ხიდის მახლობლად, ზედ დაეჯახა მუშას თედო გუგუშვილს და მძიმედ დაშავა. ამ მოსახვევთან ასეთი უბედურება თითქმის ეოველ დღე ხდება ხოლმე.

** ამ უკანასკნელს ხანებში საშინელ სიცხისა გამო ქალაქში ბევრი წყალი იხარჯება. ეოველდღე ავჭალიდგან წყლის შიდით 720 ათასი ვედრა წყალი მოდის ქალაქის მცხოვრებთათვის და ქუჩების მოსარწყავად. ქალაქს საკუთარი თუნუები არ აქვს, რომ მტკვრის წყლით მოარწყვევინოს ქუჩები, ხოლო ავჭალის წყაროები დიდხანს არ ეყოფა. შესაძლებელია აგრეთვე გაფუჭდეს ერთად ერთი მიდი და მაშინ სულ უწყლოდ დარჩება ქალაქი.

** სად. ძირული, 24 ივნისს, მატარებელ № 3-ის მგზავრს ბარკალაიას ჯიბიდგან 600 მან. ამოაცალეს.

** სადგ. აბაშა. 24 ივნისს, სახალხო მატარებელმა № 24 მე-43 ვერსტზე გაჭყლიტა 15 წლის ყმაწვილი გლეხი ევგენი ბესელია, რომელიც რკინის გზაზე გადადიოდა.

** 25 ივნისს ტფილისის სადგურზე ღამის ორს საათზე, როდესაც მატარებელი № 171 გავიდა ტფილისიდგან ავჭალისკენ, ლიანდაგზე ნახეს ფეხებ დამტვრეული კაცი 60 წლის მოხუცი. დაშავებული საავათმყოფოში წაიყვანეს.

კავკასიის მომავალი გამოფენა.

როგორც მკითხველებმა უწყიან, კ. მესხს მიანდო გამოფენის კომიტეტმა მოელაპარაკოს ადგილობრივ მგალობელთ მომავალ გამოფენაზედ ეროვნულ სიმღერების საქმის მოსაწყობად. ბ-ნმა მესხმა აცნობა კომიტეტს, რომ ბ-ნი ყარა-მურზა თანახმაა შეადგინოს გუნდი (40) იმ პირობით, თუ ამ საქმისათვის თვეში 500 მან. იქმნება გადადებულიო. ბ-ნი ფალიაშვილიც თანახმაა შეადგინოს ქართველ ქალ-ვაჟთა გუნდი იმ პირობით, თუ თითო მომღერალს მიეცემა თვეში 20 მან. ამას გარდა ბ-ნთ კავსაძემ და კარგარეთელმა კომიტეტს განცხადება წარუდგინეს, რომელშიაც ამბობენ, რომ ჩვენ შევადგენთ ქართველ მომღერალთა გუნდს, თუ ამ საქმისათვის თვეში 500 მან. იქმნება გადადებულიო.

—

მომავალ გამოფენაზედ გასართობების მოწყობის საქმე ორის თვის განმავლობაში დაახლოვებით გამოანგარიშებულია: საზანდარი—800 მან., დუდუკი—400 მან., მესტვირე—50 მან., მომღერალთა გუნდი და ცეკვა—1,500 მან., რუმინელთა და იტალიელთა ორკესტრი—1000 მან., სიმებიანი ორკესტრი—3000 მან., რუსთა გუნდი—2,000 მან., შანსონეტები—1000 მან.

—

განჯის გუბერნატორმა ამ დღეებში კავკასიის გამოფენის გამგე კომიტეტს გამოუგზავნა სია იმ ექსპონენტებისა, რომელთაც სურვილი გამოაცხადეს გამოფენაში თავიანთი ნაწარმოებების გაგზავნისა. ამასთანავე გუბერნატორი სწერს გამოფენის კომისარს, რომ ექსპონატების მოსაგროვებლად და ტფილისში გამოსაგზავნად 200 მან. არის საჭიროვო.

—

ოთხშაბათს, 27 ივნისს, საღამოს 8 საათზედ კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში სხდომა ექმნება მთავარ კომიტეტს, რომელმაც სხვადა-სხვა მიმდინარე საქმე უნდა განიხილოს. სხვათა შორის კომიტეტმა გამოფენის საექსპერტო კომისიის წევრები უნდა აარჩიოს.

—

გუშინ-წინ სამეურნეო საზოგადოების სადგომში სხდომა ჰქონდა იმ კომისიას, რომელსაც კომიტეტისაგან მინდობილი აქვს გამოფენაზედ ხალხის გასართობების მოწყობის საქმე მიანდოს ქართულისა ბ-ნ კარგარეთელს, ხოლო სომხურისა ყარა-მურზას.

—

გუბერნიის ბეითალმა შეატყობინა კავკასიის გამოფენის კომისარს, რომ, რადგანაც წელს საქონლის ჭირია გავრცელებული, საქონლის გა-

---

აქვთ მოხსენებული (მოსე წინასწარმეტყველი, ეზეკია); გეოგრაფი სტრაბონიც იხსენიებს იბერთ. ვანის ტბის გარეშემო აღმოჩენილ ლურსმულ წარწერეებიდგან, მცირე აზიის გეოგრაფიული ნომენკლატურიდგან, რომელსაც ეხლა ქართულის ენის შემწეობით ჰხსნიან, სჩანს, რომ ქართველობა სამხრეთიდგან წამოვსულვართ და ნელ-ნელა გაგვიმსია მტკვრისა, თერგისა, რიონისა, ალაზნის და სხვა მდინარეთა ღელენი. ვაჭრობა ძაან ადრე დაკვიწყვია შავი ზღვის წყალობით. მაკედონელთა, სპარსთა და სხვათა თავ-დასხმას შევუერთებივართ თემებად, მოდგმამონათესავენი ერთ ერად. სამი საუკუნით ქრისტეს წინ მეფობაც დაგვწყობია და პირველ მეფედ ფარნაოზი გვყოლია. მიწა-ადგილის სიმდიდრეს და სიმშვენიერეს ბევრი მტერი შეუძენია ქართველობისათვის. ხაზარნი, სკითნი, ყიფჩაღნი, არაბნი, მუღალონი, ოსმალნი, სპარსნი, იტალიელნი და სხვანი ხშირად ესეოდნენ საქართველოს. მაგრამ ამ შემოსევათ ვერ შეუშლია ხელი კულტურის შეძენისა, ეროვნობის დაცვის საქმისათვის.

მოქალაქობრივი ცხოვრება საქართველოში ქრისტეს წინადვე აღყვავდა, რადგან ჩვენი ერი დაუკავშირდა ასურელთ, მიდიელთ, ბერძენთ. სტრაბონი კულტურულ ხალხად გვიხსენიებს და კერპობის დროის კულტურის ხელოვნური ნაშთები ეხლაც ასაბუთებენ ამას. მე-IV საუკუნეში ქართველობა შედის ქრისტიან ერთა წრეში წმ. ნინოს წყალობით. ქრისტეს ძალუნი მოძღვრება ნოყიერ ნიადაგს ჰპოულობს ქართველთ გულში. ამ დროიდგან ბიზანტია ხდება ჩვენი ერის მასწავლებლად. იქიდგან შემოდის სამღთო წიგნები, ხუროთ-მოძღვრება და სხ. პალესტინა, სინაა, ათონი ხდებიან კერად ჩვენის განათლებისა; იქ მეცნიერდება ჩვენი ინტელიგენცია, იქიდგან შემოგვაქვს ისტორიული და ფილოსოფიური რწმენანი, თხუზულებანი.

მწიგნობრობის ნაშთებს ვპოულობთ ჩვენში არა უადრეს მე V საუკუნისა; მე-X საუკუნეშია გადაწერილი სრული დაბადება ათონისა. წინმსვლელობის ძალუმი კვალი იწყება ჩვენში მე-X საუკუნიდგან და დიდებულ სიმაღლემდე ადის მე-XI, XII და XIII საუკუნოებში—გიორგი ბრწყინვალის, დავითის და თამარის დროს... ამ დროიდგან-კი მზეს ჩვენის განვითარებისას აკლდება ნათელი—რუსუდან დედოფლიდან ეს მზე ჩასავლეთისკენ იწევს... ჩინგისყაენი, თემურ-ლენგი ანადგურებენ საქართველოს... შინაური უთანხმობა, ოსმალთა გამძლავრება სტამბოლში, სპარსთა სისხლის მსმელობა ამოსუნთქვის ნებას აღარ აძლევს ხალხს და საქართველოც იციცქნება სამ სამეფოდ, ხუთ სამთავროთ... მძლავრი მკლავი ერეკლე მეორისა ერთხელ კიდევ უდგამს ქართველობას ეროვნულ სულს, ამ დროს მეფე ქართლ-კახეთსაც აერთებს, მაგრამ ეს გამარჯვება წუთიერი იყო.

ყველასათვია ადვილი წარმოსადგენია, რომ დიდი მეცნიერული ჭკვა და შრომაა საჭირო, რათა ამ გვარ ისტორიულ ფაქტებიდგან მეცნიერული სქემა დაიკვალოს—მითიურნი თავის ალაგს მოათავსოს, ისტორიულნი ხრონოლოგიურად აკინძოს... ფაქტების აკინძვას ვხედავთ: ჩვენს „ქართლის ცხოვრებასა“, ბატონიშვილის თეიმურაზის ისტორიასა, ბარათაშვილის რვეულებსა, ბროსეს, დ. ბაქრაძის, ვახუშტისა და სხვათა შრომებში, მაგრამ ყოველივე ეს შორსაა ჯერ ისტორიის ქონვამდე.

ამ ბოლოს დროსაც ბევრი ისტორიული შრომა დაიბეჭდა. ასეთია, მაგალითად, ბ-ნ მ. ჯანაშვილის თხუზულებანი „საქართველოს ისტორია“, „ქართველთ მწერლობა“, „უკვდავთა ღაღადებანი“ და სხვანი. წარსულ 1900 წელს ბ-ნ ექვ. თაყაიშვილის რედაქტორობით გამოვიდა I ტომი „საქართველოს სიძველეთა“. ამ შრომაში მოთავსებულია 431 გუჯარ-სიგელი და აქტი სხვადა-სხვა შინაარსისა: წყალობის წიგნნი, ნასყიდობანი, ფულის სესხის ბარათნი, გაყრილობის განაჩენნი, ანდერძის წიგნი, მზითვის სიანი, არძები და მათზედ განსაჩივრებანი, სიები საეკლესიო სამკაულთა, მამულ-დედულთა, მიწერ-მოწერა მეფეთა და მეპატრონეთა. ნაკლი ამ სიგელ-გუჯართა მხოლო ისაა, რომ ცოტა უფრო ახალი ხანისანი არიან, არა უადრეს მე-XV საუკუნისა, მაგრამ მაინც და მაინც იგინი მშვენივრად ახასიათებენ ზნე-ჩვეულებას და წეს-წყობილებას ხალხისას, თავადაზნაურობისას, ეკლესიისას—ერთის სიტყვით, ამ წიგნში თავ-მოყრილი მასალა მრავალ მხრით დამახასიათებელია საქართველოს სამეფოს ცხოვრებისა და გარემოებისა...

ვიმეორებთ, ესა და მრავალი სხვაც მხოლოდ მასალაა და კიდევ დიდი დრო გავა, ვიდრე მეცნიერულად შემუშავებულ ისტორიას ველირსებით.

მღ. ზაქარია გულისაშვილი

ზავნა აღძრძალულია, რათა უფრო ფარ გავრცელდეს კავკასიაში ჰირიო.

დაბალ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ს. ძველი-ბავაზი (თელავის მაზრ). ქერები შოიმკა და ახლა ხურის მკას შეუდგნენ. მოსავალი ხურისა წრეულ ძალიერ ნაკლებია, რადგანაც მაისის დაყინებულმა წვიმებმა ენები მთლად აბალახა. ბევრი ადგილი შესვლის აღარც ფიქრობს, რადგანაც მოსავალი მუშის ხარჯს ვერ გაისტუმრებს.—ისედაც მტირე სახნავიანს ჩვენს სოფელს წრეგანდელი ხურის მოუსავლობა უფრო დიდ კაბალეებში ჩააგდებს. კარგია კიდევ, თუ სიმინდის მოსავლმა მკვირდი კეთილებული მდგომარეობა შეუმსუბუქა. მართალია, სახნავ ადგილების სიტოტალე რაც დრო გადის, იმდენი უფრო საეჭვოებელი ხდება მეცხოვრეობისთვის, მაგრამ ეს კარგობა იმდენად არ ადონებს და აწუხებს დღეს გლეხკაცობასა, რამდენადაც ამ სახნავს ადგილებში ბლომად მდგომი მუხის დიდრონი ხეები, რომლებიც მოსავალსა სჩრდილავენ და მით ნათესს დიდს ზარალს აძლევენ. სანადელო სახნავს ადგილებმი ამ გვარი ხეების დაკაფვა და მოჭრა აქამდის უმადლესის მთავრობისაგან ნება დართული იყო, მაგრამ ეხლა-კი, არ იცით რა მიზეზით, ადგილობრივის ტყის მცველის განკარგულებით სრულიად აღიკრძალა. კარგი იქნებოდა ამ კარგობისათვის უურადღება მიექცა, მით უმეტეს, რომ ეს ხეები შესოსაც-კი გამოსადეგნი არ არიან და ზარალი-კი დიდი მოაქვთ.

ვენახებს ჯერ-ჯერობით საუცხოოდ ასხია. წამლობას აღრე და ერთგულად შეუდგნენ. არ დაჩენილა უდარიბესი კაცებიც-კი, რომ ვენახისათვის არ ეწამლოს. ბევრმა მეორეჯერაც უწამლა.

არა ნაკლების ერთგულებითა და გატაცებით შეუდგნენ წრეულს დედაკაცები „ჭიაობას“ (აბრეშუმის ჭიის მოყვანას), მაგრამ, სამწუხაროდ, შრომამ დიდსეული ნაყოფი ვერ მისცა. ჭია პარკის გაკეთების დროს დაიხოცა და ხუთი-ექვსი ფუთი პარკის მოიდოდინეს ხელში მხოლოდ 10—15 კილოსნა პარკი-და შეჩა. ჭიის ასრეთს დახოცვას ზოგი ოესლის უკარგისობას აბრალებს, ზოგი მოუვლელობას; ჩემის აზრით-კი, ერთიცა და მეორეც ზარალს ხელს უწყობდა. წრეულ ფუტკარიც ზარალობს, ბევრს არ უშვებს და ბლომად იხოცება. ამ გარემოებას ბევრი ავადმყოფობას აბრალებს, ზოგი კი იმ გარემოებას ამიზეზებს, ვითომ ფუტკარი დაფას მოწამლულ ვენახებიდან შაბიანს აკანდეს, რომელიც ყვავილებსა და ბალახსაც ხვდება უთუოდ და ეს იყოს მიზეზი, რომ ფუტკარი იხოცება. თუ ეს მართალი გამოდგა, ეგვი არ არის, მეფუტკრეობას ჩვენს სოფელში დიდი ზარალი მოელის და შესაძლებელია სულაც დაცეს.

ამ სამის თვის წინედ ორმა შეერთებულმა საზოგადოებამ ძველისა და ახალის გვაზისამ მამასახლისად აქაური ძველი ასა დაგიანაშვილი ამოირჩია, რომელსაც ჯამაგირად წელიწადში ოთხმოცი თუმანი დაუნიშნა. არჩევანი უთუოდ მალე დამტკიცებული იქნება და ჯაბესაც ჩაბარებს. იმედია ახალი მამასახლი საზოგადოებას ნდობას არ გაუტეხავს და ეცდება ხალხის საკეთილოდ და სასიკეთოდ გაკეთდეს რამე.

განზრახულ წიგნთ-საცავისთვის ქვითკირის სახლის შენებას უკვე შეუდგნენ და მალე მზად იქნება.

მიხაკო

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

სატახტო ქალაქის გაზეთებთან ერთად მომავალ სასკოლო რეფორმის სკა-ბაასს პროვინციის გაზეთებიც მხურვალედ შეუდგნენ. ამ გაზეთებმა სატახტო ქალაქის გაზეთებზედაც-კი უფრო კრიტიკულის თვალით შეხედეს მომავალ რეფორმას. „Восточ. Обозр.“, მაგალითად, სწერს:

„რუსეთის საზოგადოება, მწერლობა და თვით მთავრობა ამ ბოლოს მთლად საუნივერსიტეტო საქმეებმა მოიცვეს. ამ საქმეებს მიაქერეს მთელი თავისი ყურადღება, იმის განხილვას ანდომებენ მთელ თავისს დროს. ჩვენ ეარს არა ვფიქრობ ამ შრომის, მეცადინეობის რეალურ-ფასე მნიშვნელობას, თუმცა, გულ-ახლით რომ ვსთქვათ, ხანსა და შვლას არ გამოვეფით იმისაგან, რადგანაც, ჩვენის აზრით, სასკოლო რეფორმა ცხოვრების საზოგადო პირობებისაგან არის დამოკიდებული და ვიდრე ეს პირობები არ შეიცვლება, შეუძლებელია თვალსაჩინოდ განკარგება სასკოლო საქმეებისა“.

შემდეგ გაზეთი განაგრძობს:

„უმთავრესი შეცდომა ის არის, რომ აზრად აქვთ იმათ მდგომარეობის განკარგება მხოლოდ, ვისაც უნივერსიტეტში შესვლის უფლება აქვს. ჩვენის აზრით, დიდი დანაშაულობაა, რომ ამავე დროს დაივიწყონ და ეურადღება არ მიაქციონ სხვათაც, სიცოცხლისა და ცოდნის შეძენის სურვილით გატაცებულთ: სემინარიელებს, ებრაელებს და „მზარეულის შვილებს“ (დარიბებს), რომელთათვისაც უმაღლესის სწავლის კარები დღემდე დახშულია“.

მით უმეტეს საჭიროა, გაზეთის აზრით, ამ „განდევნილთ“ ყურადღება მიექცეთ, რომ მათი განდევნა შედეგია საუნივერსიტეტო ცხოვრების იმ მოვლენათა, რომელთა გამოც მთელი ეს აურ-ზაური ასტყდა.

„მხოლოდ ამ ბოლოს დროს მოისურვეს საქმის საფუძვლიანად და ძირიანად განხილვა. წინადა-კი ყოველ უწესობისა და არეულობების დროს უეცრად „დამნაშავეს“ კამოსძებნიდნენ ხოლმე, ამ დამნაშავეს განდევნიდნენ და საქმეს ამით გათავებდნენ. მე-70 წლებში ასეთ „დამნაშავედ“ სემინარიელი იქმნა ცნობილი. „კუტეინიკი ამდგრევს წყალს,—ბორს ჩვენგან კუტეინიკი!“ გაიძახოდა ყველა. მე-80 წლებში მოულოდნელად ადმოჩნდა, რომ ყოველივე უბედურება უნივერსიტეტში „მზარეულის შვილისაგანაა“, ამიტომ უნივერსიტეტს ისეთი სადამოუნო კანონი შემოაკლეს და ისეთი სწავლის დიდი ფასი დაწესეს, რომ ყველა დარიბს მეცნიერების კარები დაუხშეს. დასასრულ მე-90 წლებში ყოველ უბედურების სათავედ „ურია“ იქმნა ცნობილი და კიდეც შეზღუდეს ებრაელთა რიცხვი უნივერსიტეტში.

„ცხოვრებამ მალე დამტკიცა უსაფუძვლობა ყოველივე ამისა: განდევნეს სემინარიელი—„ისტორიები“ მაინც იყო; განდევნეს „მზარეულის შვილი“—ისტორიები მაინც არ მოისპო; განდევნეს ებრაელი—ისტორიები თუ არ კიდევ, არ შესუსტდა“.

ეხლა, ამბობს დასასრულ გაზეთი, დამნაშავეს რომელიმე წოდებისა და წრის შორის აღარ ეძებენ, ამიტომ დროა „დასჯილთა“ უფლებები აღდგენილ იქმნანო. ამისათვის, გაზეთის აზრით, საჭიროა: 1, გაუქმებულ იქმნას სემინარიელთათვის უნივერსიტეტებში შესასვლელი ეგზამენები; 2, გათანასწორებულ იქმნას უნივერსიტეტში შესვლის უფლებანი სემინარიებისა და გიმნაზიებისა; 3, შემცირებულ იქმნას ლექციების მოსმენის ფასი და, დასასრულ, 4, გაუქმებულ იქმნას საპროცენტო შეზღუდვა ებრაელებისათვისაო.

* * *

თითქმის ყველა რუსული გაზეთი სიხარულითა და სიამოვნებით მიეგება იმ აზრს, რომ უნივერსიტეტის კარები ქალებისათვისაც გაღებულ იქმნას. თვით „Новое Время“-ც-კი დაბეჯითებით გაიძახის, რომ დროა ქალებს უნივერსიტეტში შესვლის უფლება მივანიჭოთ, ამას მეტად საკეთილო შედეგი მოჰყვებაო:

„კამრავდება განათლებულ ქალთა რიცხვი, რომელთა მოთხოვნილებაც დღეს მეტად დიდია. მართალია დედათა უმაღლესს სასწავლებლებს ვაარსებთ, მაგრამ ეს სასწავლებლები მსურველთა მეათედსაც ვერ იტევს. ახალ სასწავლებლების ნაცვლად, უფრო ადვილი და ადგილიცაა უნივერსიტეტების გაფართოება ქალების მისადებად.

„წავიდა ის დრო, როდესაც ქალები კარ-ჩაკეტილში ისხდნენ. 200 წელიწადია, რაც ჩვენში ქალი განთავისუფლებულ იქმნა ტყვეობისაგან. ამ ხნის განმავლობაში უკვე მიეჩვიეთ იმ აზრს, რომ გასაკვირი არ არის ახალგაზრდა ქალისა და კაცის ერთად ყოფნა, ერთად ცხოვრება, ერთად დროს გატარება. დროა იმ აზრსაც მივეჩვიოთ, რომ საშაო არ არის ქალისა და კაცის ერთად სწავლა“.

რუსეთი

ვისაც სურს პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტში შესვლა, თხოვნა უნდა წარადგინოს უნივერსიტეტის კანცელარიაში 15 ივლისიდგან 20 აგვისტომდე.

—გამოქვეყნებულ იქმნა უმაღლესი ბრძანება საბეითალო ნაწილის გადაკეთების შესახებ. დაარსებული იქმნება საბეითალო განყოფილება და საბეითალო კომიტეტი, საბეითალო განყოფილებას მინიჭებული ექმნება სამინისტროს სხვა დეპარტამენტის უფლებანი. საბეითალო კომიტეტი შესდგება თავმჯდომარის და წევრებისაგან, აგრეთვე სამხედრო, საეკლესიო განათლებისა, ფინანსთა, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა; გზათა და გარეშე საქმეთა სამინისტროების წარმომადგენელთაგან, სახელმწიფო ცხენთა მომშენებელ საზოგადოების გამგეობისა, სამეფონო და სამკურნალო პოლიციის დირექტორთაგან, საქონლის მომშენებელთა და სასოფლო-სამეურნეო მწარმოებელთა ორ-ორის წარმომადგენელისაგან. საბეითალო კომიტეტის თავმჯდომარე დანიშნული იქმნება უმაღლესის ბრძანებით.

—აქამდის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ და მათემატიკურ ფაკულტეტზედ, ანუ ისტორიულ-ფილოლოგიურ ინსტიტუტში სწავლა (დამთავრებულნი პირდაპირ ინიშნებოდნენ საშუალო სასწავლებელთა მასწავლებლებად, რის გამო ვერ იყვნენ კარგად მომზადებულნი სამასწავლებლოდ. ეხლა საეკლესიო განათლების სამინისტროს განუზრახავს დააარსოს განსაკუთრებული პრაქტიკული კურსები ახალგაზდა პედაგოგებისათვის. ამ კურსებზედ სამაგალითო გაკვთილებს მიექცევა მთავარი ყურადღება.

—რუსეთის მეფუტკრეობა საზოგადოების 10 წლის არსებობისა გამო სამინისტროს ნება დაურთავს მოიწვიოს ყველა მეფუტკრეთა საზოგადოებების წარმომადგენელთა და მეფუტკრეობის ჟურნალების რედაქტორთა კრება სხვა-და-სხვა საგნების განსახილველად.

—პეტერბურგში არსებობს ქალთა შორის სასოფლო-სამეურნეო განათლების გამავრცელებელი საზოგადოება. ამ საზოგადოებას განუზრახავს ეხლა რაც შეიძლება მეტი განყოფილებანი დააარსოს პროვინციალურ ქალაქებში.

უცხოეთი

გერმანია. ამ ბოლოს დროს სოფლის მეურნე მემამულეებმა რამდენჯერმე წაუგეს საქმე. ფინანსთა მინისტრათ ნამოფოს ფონ-მიქელის სამსახურიდგან გადადგომით დიდად გაგდენიანი მფარველი დაჰკარგეს მთავრობის წინაშე. რაც შეეხება კანცლერს გრაფს ბიულოვს, ამასაც-კიდევ ისრე ადარ ენდობიან როგორც აქამდის ენდობოდნენ. მართალია, ბიულოვი, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის განვითარებას დიდად თანაუგრძნობს და სხვილს მამულის პატრონებს ბრუსიის კონსერვატიზმის ზღუდეთ, სამაგრეთა სოფლის, მაგრამ სტდიდობს ამასთანავე ფეოდალებისა და მემამულეთაგან დამოკიდებულ არ იყოს, მათ წინაშე ვალდებულება არა ჰქონდესრა. თუ რომ კანცლერს კარგად ესმის, მეურნეობასა და მიწათ-მოქმედებას სახელმწიფოს ნიგოთიერს წყობილებაში რა დიდი აზრი აქვს, თუ რომ მამულის პატრონს თავად-აზნაურობას ასრე მაღლა აყენებს, სამაგიეროდ, შეუგნია ისიც, რომ არ შეიძლება ამათის გულისათვის გერმანიის მრეწველობისა და ვაჭრობის საქმე აზარალოს და ისეთი შედეგათა მიანიჭოს მამულის პატრონს თავად-აზნაურობას, რომელიც ვაჭრობისა და მრეწველობის საქმეს ბირდაბირ ეკვნ დასწევს, ე. ი. წინააღმდეგია ეგრედ-წოდებულის ორსაირის გარდასახადისა, რომელსაც მიწათ-მოქმედთა სარგებლობის დამცველნი ასე დიდს მნიშვნელობას სწერენ. თავისის ბრძანებულებისაგან კანცლერიც დარწმუნებულია,—სწერს გაზ. „Temps“,—რომ ხალხის მასაზრდოებელს მიწას უფლება აქვს განსაკუთრებულის ეურადღებით მოექცნენო. ბიულოვს არა აქვს განზრახვა რადაც ბატონიერის კატაცებით იხელმძღვანელოს ეგრედ-წოდებულ განუნებულ ფორმების საქმეში, რომელიც თავისუფალ ვაჭრობის ბრმად თაყვანისმცემელთ შეიმუშავეს, და ცხოვრებისათვის უსაზიანოს საგნების შეძენისა და მოხმარების საქმეში გერმანია უცხოელთა დამოკიდებული გახადოს, ერთ-ბედი ისეთს ხალხს ჩაუგდოს ხელთ (ე. ი. მოსულს ვაჭრებს, ფულის პატრონებს), რომელიც ომის დროს ბირდაბირ მტრათ გამოაცხადებს თავს. კანცლერი მხნედ შეუდგა იმ დოხისძიებათა მიდებას, რომლებსაც სამიწათ-მოქმედო კრიზისი თხოულობდა და რომლებმაც ბრუსიის სამეფოს ზოგიერთს ბროვინციებში თავი იჩინეს. ამისათვის შეუძლებელია გრაფს ბიულოვს სოფლის მეურნეთა და მიწის მოქმედთა მიმართ უეურადღებობა უსაუფლეურო, მაგრამ იმავე დროს კანცლერს არა ჭსურს სხვილ მამულის პატრონთა და მიწის მოქმედთა ვიწრო ეგოისტურს სარგებლობას ამსახუროს თავი და ხალხის საკეთილდღეო სხვა წესრონი მთლად მათ ამსხვერპლოს. როგორც სჩანს, კანცლერს განზრახვა არა აქვს გერმანიის ნიგოთიერს წარმატებას ძირი გაუთხაროს და მემამულეთა და მიწის მოქმედთა ბოლიტიკით, რომლებიც მხოლოდ იმასა თავისს სარგებლობას მთელის ერის ინტერესები ამსხვერპლონ, სახელმწიფოებთან არსებული დამოკიდებულება შეარეოს, აზარალოს. ასრე უეჭერიან დღეს გერმანიის კანცლერის საკარო ბოლიტიკასა გაზ. „Temps“-ი და მრავალნი სხვანი, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ მემამულეთა და მიწის-მოქმედთა საქმეში კანცლერი დიდად ირეკვა, მტკიცე და გარკვეულს აზრს არ ადგია და ამისათვის ეს გარემოება მისის ავტორიტეტისადმი ნდობაზედ ცუდს გავლენას იქონიებსო.

საფრანგეთი. როგორც მოგეხსენებათ, ამ ბოლოს დროს ჟურნალ-გაზეთებმა და ზოგიერთმა ცრუ-პოლიტიკოსებმა დიდი ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა ასტეხეს იმის შესახებ, ვითომ საფრანგეთს მაროკკოს დაპყრობა მოენდომებინოს და საჭირო მოქმედებას კიდევაც შესდგომოდეს. როგორც დეპეშით გვაუწყებენ ახლა, საფრანგეთის სენატში ამ საგნის შესახებ დეპუტატს შომს კითხვა ალუძრავს და პასუხი მოუთხოვნია,—მაროკკოსა და საფრანგეთს შორის დღეს რა დამოკიდებულება არსებობსო. გარეშე საქმეთა მინისტრმა დელკასსემ შომს შემდეგი პასუხი თურმე მისცა: „პარიეში მყოფი მაროკკოს საელჩო თავისს თავად ამტკიცებს, რომ ორსავე სახელმწიფოს გულითადი გრძნობა ერთებსო. როგორც-კი სამხრეთ-ალჟირის კორდი დავიპირეთ, მაშინვე განვაცხადეთ, რომ ინგლისის რკინის გზის ალმოსავლეთით ვიქნებით მხოლოდ სრული ბატონები და არც თუ რამ მოგვისურვებია მეტი. ჩვენი ალთქმა ახამდის მტკიცედ დავიცვით და, იმედია არც ამას იქით ვულალატებთ. ამაში ეჭვის შემოტანა ედამიწაზედ არავის შეუძლიანო (ტაშის ცემა გაისმა). ჩვენ მხოლოდ იმასა ვამბობთ, რომ მოსეულს მტერს ვიგერიებდით და ზომიერებასა და კანონიერებას არ ვღალატობდით, მაგრამ ვაფრთხილებდით ამასთანავე მაროკკოს მთავრობას, რომ ალჟირის მეზობლათ მცხოვრებს სხვა-და-სხვა ტომის ხალხს თვალს ვადევნებდითო. ჩაფეის ნაპირზედ მომხდარს მკვლელობაში სრული ბოროტობა მივიღეთ და საქმე ამითი გათავდა. მაროკკომ კარგად უწყის, რომ ჩვენ მისის მიწა-წყლის ერთიანობის დაცვა გვსურსო“ (აღტაცებული ტაშის ცემაა). კითხვა ამითი გათავდა.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

ივნისის პირველ რიცხვებში ლონდონში მთა-მადნების მუშათა მეთორმეტე საერთა-შორისო კრება მოხდა. კრებაზედ გამოცხადებულია 65 დეპუტატი ინგლისსა, შოტლანდიასა, ბელგიასა და საფრანგეთიდგან მისული. უმთავრესს სალაპარაკო საგანს სამუშაო საათების შემცირებას შეადგენდა. ბოლოს დაადგინეს მოითხოვონ, რომ დღეში რვა საათით მუშაობა იქმნეს შემოღებული. სხვათა შორის საფრანგეთისა და ბელგიის დეპუტატებმა ლაპარაკი აღძრეს მთავრობების მიერ კერძო კაცთა საზოგადოებათაგან სამთო და სამადნო წარმოებათა გამოსყიდვის შესახებ. არ თანაუგრძნობდნენ ამ აზრს მხოლოდ ინგლისის დეპუტატნი. მთავრობა საზოგადოდ ნაკლებ ყურადღებას მიაქცევს მთა-მადანთა წარმოების საქმესაო, უთქვამთ იმათ. უმრავლესობამ მაინც სურვილი განაცხადა ამ აზრის განხორციელებისა.

***

როგორც ერთი ოსმალური გაზეთი გადმოგვცემს, ალბანიის სოფელ გუტში ამას წინად გარდაცვლილა თურმე მეტად ხნიერი მოხუცი, 160 წლის ისმაილ ჰაზე. ჰაზეს შვილის შვილთა და შვილის-შვილის-შვილთა რიცხვი 200 აღემატება თურმე. მოხუცს სამაგალითო მხედველობა ჰქონდა თურმე და სიკვდილამდე არც ერთი კბილი არ დაჰკლებია.

***

დღეს დიდ-ძალ ქვა ნახშირს იღებენ დედამიწის გულიდგან. ამ საქმეს ადგია 1,500,000 მუშა; აქედგან ინგლისში—535,000 მუშა; შეერთებულ შტატებში—300,000, გერმანიაში—285,000, ბელგიაში—100,000, და რუსეთში—44,000 მუშა. თუ ამას რკინის დამუშავების საქმესაც მიუმატებთ, აღმოჩნდება, რომ ოთხ მილიონამდე კაცი უმეტეს დროს თავისს სიცოცხლისას მიწის ქვეშ ატარებს.

***

კარგა ხანია ლაპარაკია აღძრული საყოველთაო ენის შემუშავებისა და შემოღების შესახებ. რამდენიმე ახალი „ენა“ კიდეც შეიმუშავეს, მაგრამ არც ერთი არ გამოდგა. საფრანგეთში მეცნიერთ ხელ-ახლა მოუკიდნიათ ამ საქმისთვის ხელი და ხელ-ახლა შესდგომიან მუშაობას ახალის ენის მოსაგონებლად. უკვე შემდგარა მეცნიერთა წრე, რომელ-საც დაუდგენია შეჰქმნას საყოველთაო, საინტერნაციონალო ენა, რომელზედაც ყველა ხალხს შეეძლოს ლაპარაკი, წერა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა და სხვა. ეს ენა ისეთი მარტივი უნდა იყოს, რომ იმის შეთვისება ყველას სულ ადვილად შეეძლოს. ამ წრეში 22 სამეცნიერო საზოგადოებამ უკვე დანიშნა თავიანთი წარმომადგენელნი. საფრანგეთის აკადემიის 25 წევრიც დაჰპირდა დახმარება-შველას.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

23 ივნისი.

პეტერბურგი. 23 ივნისს დალაილამის საგანგებო დესპანი პეტერგოფის დიდს სასახლეში ხელმწიფე იმპერატორისა და დედოფლის იმპერატრიცის მარიამ თეოდორეს ასულის წინაშე წარსდგა.

რაგაცი. იმპერიის კანცლერად ნამყოფი თავ. ჰოჰენლოე გარდაიცვალა.

იოკაგამა. მანჯურიაში არეულობანი თანდათან ვრცელდება. მეამბოხე ჩინელთა რაზმი მდინარე იალუს გადავიდა, მაგრამ უკუგდებულ იქმნა კორეის ჯარის მიერ. ჩინელებმა 12 კაცი დაჰკარგეს.

კორეის იმპერატორმა აღკრძალა კორეის დარაჯის იაპონურ თოფებით შეიარაღება.

ვაშინგტონი. რუსეთის რწმუნებულმა ოფიციალურად შეამოწმა სტატს-სეკრეტარის გეისაგან ნოტას მიღება რუსეთის მიერ დადებულ გარდასახადების შესახებ; როგორც ამბობენ, რუსეთის პასუხში აღთქმულია ამერიკელთა წინადადების სერიოზულად განხილვა და გამოთქმულია სურვილი, რომ რუსეთმა შეერთებულ შტატებთან კარგი პოლიტიკური, სავაჭრო და სამრეწველო დამოკიდებულება იქონიოს.

სარატოვი. პურის მოსავალი გუბერნიაში ერთნაირი არაა, საზოგადოდ საშუალოზე ნაკლებია; ჭვავისა და პურის მოსავალი უფრო ნაკლებია. გუშინ კარგი წვიმა მოვიდა.

ვორონეჟი. ერთი თვის გვალვის შემდეგ, გუშინ და დღეს კარგი წვიმა მოვიდა.

ეკატერინოსლავი. წვიმა მოვიდა, სიცხე აღარაა, მაგრამ პური უკვე წახდა. ქერსა მკიან. პური ადგილ-ადგილ სულ დამწვარია სიცხისაგან.

24 ივნისი.

პეტერბურგი. შავის ჭირის საწინააღმდეგო კომისია აცხადებს, რომ კონსტანტინეპოლი შავის ჭირის მხრივ საშიშოდაა ცნობილიო.

ლონდონი. კიტჩენერი პრეტორიიდგან იუწყება, რომ რკინის გზის სადგური როდეპორტი გუშინ ბურებმა დასწვესო. ბურები უკუ აგდეს; მათ 2 კაცი მოუკლეს და 7 დაუჭრეს. ინგლისელებს 1 დაუჭრეს. კიტჩენერი დასძენს, რომ გუშინ, როცა ბურები ვაბოისპრუიტს ახლო მატარებელს დაეცნენ, ინგლისელებს, უკვე ცნობილს ზარალს გარდა, კიდევ 10 კაცი დაუჭრეს. სხვა დაწვრილებით ცნობებს კიტჩენერი არ იუწყება.

პარიზი. პალატა. ვალდეკ-რუსსომ წაიკითხა ბრძანება სესსიის დამთავრების შესახებ.

მოსკოვი. დღეს აკურთხეს ერთი სახაზინო ღვინის საწყობი. ამ საწყობში 1,200,000 ვედრო ღვინო მზადდება და 800 კაცი მუშაობს.

ვიატკა. გვალვის გამო ანეულისა და გაზაფხულის ნათესობის მოსავალი საშუალოზე ნაკლებია.

პარიზი. სენატი. იუსტიციის მინისტრმა წაიკითხა ბრძანება სესსიის დასრულების შესახებ.

ვაშინგტონი. ზღვათა სამინისტრომ ევროპის ზღვებში ხელ-ახლა დაარსა სადგური, რომელიც ესპანიასთან ომის დროს დაიხურა; ამ სადგურის უფროსად ადმირალი კრომველი დანიშნა. უმთავრესი ბინა კრომველს, ალბად, ხმელთა შუა ზღვაში ექნება.

ხარკოვი. დღეს აქ მოვიდა პეტროვი, რომელიც საადგილ-მამულო ბანკის აქციონერთა საგანგებო კრების თავმჯდომარედაა დანიშნული. ამ ბანკს ამას წინად საკრედიტო კანცელარიამ რევიზია უყო. როგორც ცნობილია, რევიზიამ აღმოაჩინა, რომ ბანკს 18,431,000 მანეთის ვალდებულება ჰქონია, რის დასაკმაყოფილებლად ბანკს 11 მილიონამდე აქვს; ამნაირად პასსივი შვიდ მილიონ ნახევრით აღემატება აქტივს. ბანკისათვის საჭირო თანხის შესაკრებად შემდეგი პროექტია შედგენილი: მოვალეობისაგან სესხად უნდა მიიღოს 6.000,000, აქციონერებმა—6.000,000 უნდა გადაიხადონ 42,000 აქციაში, თითოში 145 მანეთი და ახალი აქციები უნდა გამოიცეს.

ოლექმინსკი. პეტერბურგიდგან იაკუტსკში ექსპედიცია მოვიდა მამონტის წასაღებად. შესაძლებელია, რომ სამ თვეზე მიაღწიონ იმ ადგილს, სადაც მამონტი იმყოფება.

უფა. სტერლიტამაკის მაზრის მელეუზის სოფელში სეტყვამ 3,000 დესეტინაზე მეტი ნათესობა გაანადგურა.

შეცდომის გასწორება: „ივერიის“ № 136-ში, 23 ივნისის დეპეშაში პეტერბურგიდგან შეცდომით დაბეჭდილია: „მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის დიდის მთავრინა“... უნდა იყოს: „მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრინა“... ხოლო ცოტა ქვეით: „მათის უმაღლესობის“... უნდა იყოს: „მათის უდიდებულესობის“.

წერილი რედაქციის მიმართ

გულითადს მადლობას ვუძღვნით როგორც მე, აგრეთვე აქაური შორად გადმოხვეწილი ღარიბი ქართველობა პიატიგორსკის სამხედრო რაზმის პარუჩიკს ბ-ნს ზაქარია ჟორჟოლიანს, რომელმაც თავისსავე ამხანაგებში ცამეტი მანეთი მოაგროვა და კუნძულ სახალინის უფასო წიგნთ-საცავის სასარგებლოდ გადმოგვცა. აი, შემომწირველთა სია: ნიკოლოზ ჭორჭაშვილმა, მიხეილ ავალიანმა, ვლადიმირ ჭოლოშვილმა, თავ. ბაგრატ ბაგრატიონ დავიდოვმა, უჟა მაქაშავაძემ, იოსებ თოფურიამ, გრიგორ ლორთქიფანიძემ, გიორგი ანდღულაძემ, ილარიონ სვანაძემ და ალექსანდრე ახვლედიანმა თითო მანეთი, ნიკოლოზ ხუნდაძემ 1 მან. და 20 კაპ. ვახტანგ მაჩუტაძემ 50 კაპ. და თვითონ ზაქარია ჟორჟოლიანმა 1 მან. და 30 კაპ. სულ 13 მან. უღრმესს მადლობას ვუცხადებთ აგრეთვე ქალაქ ქუთაისის სემენარიელ მოწაფეთ, რომელთაც სახალინის უფასო სამკითხველოსათვის ჟურნალების დასაკვეთად შემოსწირეს 10 მან. და ქალაქ სოხუმის მცხოვრებს საჩინო ხ. თურქიას, რომელმაც 5 მან. შემოსწირა.

ამათ გარდა 20 მან. და 17 კაპ. შემოსწირეს კიდევ: ვლადიმერ გიორგაძემ 5 მან., ბ-მა გრიგოლ გერასიმეს ძემ ჩიტაევმა 7 მან., თავ. ალექსანდრე ფალავანდიშვილმა 5 მან., ვასო ჩიხლაძემ 3 მან., პირველი გილდის ვაჭარმა, სომეხთაგანმა, კონსტანტინე ირანიანცმა 17 კაპ. (ამ ირანიანცს 160,000 მან. შეძლება აქვს).

გულითადს მადლობას ვწირავთ აგრეთვე ქალაქ პიატიგორსკის მცხოვრებს ვარდო ივან. პოგალოვს, რომელმაც 5 მანეთის სხვა-და-სხვა დაყდავებული წიგნები შემოგვწირა, ბ-ნს ანტონ ფურცელაძეს, რომელმაც ერთი ცალი „სამი-პოემისა“ უფასოდ გამოგვიგზავნა, უცნობს, რომელმაც აკაკის „კრებულის“ ორი ნომერი გამოგვიგზავნა. სულ სამშობლოდგან მივიღეთ 28 მან., ხოლო კუნძულ სახალინის ქართველებისაგან 20 მან. 17 კ. ამ ფულიდგან ქართველთა უფასო სამკითხველო-წიგნთ-საცავს მოჰხმარდა ჟურნალების გამოსაწერადა და სხვა ხარჯად 29 მან., დანარჩენი 19 მან. და 17 კ. გარდავეცით სოფ. კარსაკოვის ობლების სასწავლებლის მზრუნველსა, ბ-ნს. პოლკოვნიკს სობელევსა, ობლების სასარგებლოდ. კარგი იქმნებოდა შემომწირველთ მიმბაძველნი სხვანიც აღმოსჩენოდნენ, რადგანაც კარგა ხანია წიგნთ-საცავისა და სკოლისათვის საკუთარის სახლის აშენება დავიწყეთ და შეუძლებლობისა გამო ვერ გაგვითავებია. ვინც ისურვებს, შემოწირულებანი ამ ადრესით შეიძლება გამოიგზავნოს: Остр. Сахалинъ. Александровскій постъ Г-ну Начальнику округа для передачи завѣдывающему грузинской читальнею Александру Григорьевичу Ардишвили.

კუნძულ სახალინის უფასო წიგნთ-საცავის დამაარსებელი ალექსანდრე გრიგოლის ძე არდიშვილი

შემოწირულება

ბატონმა ზაქარია ივანეს ძემ და ქალბატონმა ეკატერინე შიოს ასულმა ბუტიკაშვილებმა „ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოებას“ შემოსწირეს, თავიანთ განსვენებულის ძის ივანეს უკანასკნელის სურვილის თანახმად, მისი ნაქონები სხვა-დასხვა წიგნი და რამდენიმე ქართული ხელთ-ნაწერი, სულ რიცხვით სამას სამოცდა ცხრა ცალი.

გამგეობა საზოგადოებისა უგულითადესს მადლობას უძღვნის აღნიშნულ პირთ ასეთის უხვის შემოწირულებისათვის.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 27 ამა ივნისს, შუადღის 1 საათზედ, გამგეობის თანადასწრებით მოხდება

საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით გაიცემა მოკირწყვლა ორლოვის ქუჩისა და აგრეთვე ამ ქუჩაზედ კედლის გაყვანა. სამუშაო 3255 მ, 35 კაპეიკისაა.

მსურველს შეუძლიან პირობანი გასინჯოს გამგეობის მესამე ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა უქმეს გარდა, 9-დგან 2 საათამდე. (2—ნ.—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ მისის თანადასწრებით 28 ივნისს, დღის 1 საათზედ, 63 სადამფასებლო პლანშეტის ლიტოგრაფიულის საშუალებით მოსამზადებლად, სულ 1475 მ. ღირებულობისა, საჯარო ვაჭრობაა დანიშნული.

მსურველთ შეუძლიანთ პირობები ამის შესახებ ქალაქის გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში ინახულონ ხოლმე დილის 9-დგან ნაშუადღევის ორ საათამდე, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. (3—ნ.—2)

ძუთაისში

ახალი სასტუმრო ბულვარის გვერდით, ანდრონიკაშვილის სახლებში

„ბელვიუ“.

დასავლეთით სასტუმრო დაჰყურებს ქალაქის ბაღს, სამხრეთით სობოროს მიდამოს და მოჩანს უხიმერონის მთა თავისის ისტორიულის ნანგრევებით. სასტუმრო მშვენივრად არის მოართული. სამაგალითო სამზარეულო აქვს და ზრდილობიანი მოსამსახურენი ჰყავს. მოქმედებას დაიწყებს 1901 წლის 1 ივლისს. (3—ნ.—2)

ქართველთა საალმ-მიცემო ამხანაგობის

„შუამავლის“

წლიური კრება დანიშნულია ამა ივნისის 26, საღამოს შვიდ საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. კრება შესდგება, რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს, რადგან წარსულა მაისის 20 დანიშნული ამნაირივე კრება არ შესდგა კანონიერ წევრთა რიცხვის დაუსწრებლობისა გამო. განსახილველია შემდეგი საგნები: 1) წლიური ანგარიში, 2) მოხსენება გამგეობისა წესდების ზოგიერთა მუხლების შეცვლაზედ და დამატებაზედ; 3) მოხსენება გამგეობისა იმაზედ, თუ რომელი საგნებით სჯობს ვაჭრობა საზოგადოებისათვის, 4) მოხსენება იმ წევრებზედ, რომელთაც სრულად არ აქვთ საწევრო ფული შემოტანილი, 5) მოხსენება გამგეობისა წილის ფულის გადიდებაზედ, 6) არჩევანი კონტროლის თავმჯდომარისა, ორი წევრისა და მათი კანდიდატებისა, გამგეობის თავმჯდომარის და ერთი წევრისა, რომელთა თანამდებობასაც დროებით სხვანი ასრულებენ, და მათი კანდიდატებისა. (2—ნ.—2)



როიალები



პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ვრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

музыкальное депо

М. МИРИМАНЯНА

Тифлисъ. Дворцовая ул.

(24—ნ.—13)

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!

პიგიენური

ბორნო-ტიმოლის საპონი

პროფესორის

გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ბორფლს, ნასიცხს, ყვითელ ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმაროთ.

ოქრის მედალი ლონდონი 1893 წ. ფასი თითო ნაჭერის 50 კაპ., 1/2 ნაჭერი 30 კაპ. იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო საოფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობი გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. (48—ნ.—46)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25-го Іюня 1901 г. სტამბა ექ. ივ. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქ., № 28. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე